# სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 113(6447) 11 ივნისი 2021 წ. პარასკევი ფასი 40 თეთრი

## დღეს ევრო-2020 იწყება

### თურქეთი VS იტალია (რომი 23:00)

ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების შემადგენლობები და სრული კალენდარი

იხ. მე-4-7 გვერდებზე



## ბუფონმა ბარსელონას უარი უთხრა

იხილეთ მე-2 გვ.

## იან ობლაკი ლა ლიგაში სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს



ესპანეთის ლა ლიგამ ქვეყნის ჩემპიონ მადრიდის „ატლეტიკოს“ კიპერი იან ობლაკი 2020-2021 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ამის შესახებ ლიგის „ტვიტერი“ იუწყება.

სლოვენიელმა მეკარემ ესპანეთის ჩემპიონატის გასულ სეზონში ჩატარებულ 38 მატჩში 25 გოლი გაუშვა, 18-ჯერ კარი მშრალად შეინახა და 3 პენალტი მოიგერია.

## ნიკო შერაზადიშვილმა ოქრო ესპანეთში წაიღო

ბექა ღვინიაშვილი აჩრძალული ილეთის გამო ტურნირიდან მოხსნეს




## შენგელიამ VTB ლიგის ჩემპიონის ტიტული მოიგო

### თორნიკემ ფინალური სერიის მე-3 მატჩში 19 ქულა დააგროვა

თორნიკე შენგელიამ ცსკა-ს რიგებში პირველი ტიტული მოიგო. მისი გუნდი VTB ლიგის ჩემპიონია. მოსკოველებმა ყაზანის „უნიქსს“ ფინალური სერიის მე-3 მატჩიც მოუგეს და ტურნირის გამარჯვებული ისტორიაში მეთერთმეტედ გახდნენ.

გუშინდელ მატჩში ცსკა-მ 89:81 გაიმარჯვა. შენგელია ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. მან პარკეტზე გატარებულ 26:51 წუთში 19 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება დააგროვა. თოკომ 10-დან 8 ორქულიანი და 2-დან 1 სამიანი გამოიყენა.



## ჯოკოვიჩი: რაფა ჩემი ყველაზე დიდი მეტოქეა

ნადალი: ჩვენ სპორტში სწორედ ასეთი მომენტებისთვის ვართ

### დღეს ROLAND GARROS-ის 1/2 ფინალი




## გრიზმანმა და ბენზემამ საფრანგეთის ნაკრების ვარჯიში გამოტოვეს

საფრანგეთის ნაკრების ფორვარდებმა, ანტუან გრიზმანმა და ქარიმ ბენზემამ გუნდის გუშინდელი ვარჯიში გამოტოვეს. გრიზმანს მუხლი აქვს დაზიანებული და ამ მომენტისთვის, ტრავმის სიმძიმე უცნობია. იგი დახურულ სივრცეში ბენზემასთან ერთად განცალკევებით ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

ჯერჯერობით უცნობია, ითამაშებენ თუ არა ისინი 15 ივნისს ევროპის ჩემპიონატზე გერმანიასთან შეხვედრაში.



## ზეგ კოპა ამერიკა იწყება

ჯგუფური ეტაპის კალენდარი იხ.მე-8 გვერდზე

# მბაპე ჟირუს დაუპირისპირდა

## კილიანი პსჟ-ში დარჩება, რამდენადაც ეს ნეიმარის კონტრაქტის პირობაა



საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი კილიან მბაპე თავისი თანაგუნდელის, ოლივიე ჟირუს სიტყვებით უკმაყოფილო დარჩა.

ბულგარეთთან 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ, რომელშიც ჟირუმ დუბლი შეასრულა, „ჩელსის" ფორვარდმა ასეთი რამ თქვა:

„ხანდახან, ბურთს ვითხოვ და ის ჩემამდე ვერ აღწევს. ვცდილობ ხშირად ვუკარნახო ჩემ პარტნიორებს და გუნდს შანსები შევთავაზო. ბენ იედერისა და პავარის ორი კარგი საგოლე პასის წყალობით, თამაში კარგად ჩავატარე, მაგრამ მეტის გატანაც შეგვეძლო, უფრო ეფექტურად რომ გვემოქმედა".

მბაპემ ჟირუს გამონათქვამები საკუთარ თავზე მიიღო და როგორც გამოცემა „ეკიპი" წერს, ის ჟირუზე გაბრაზებული იყო. მბაპე ამ საკითხზე პრესკონფერენციის მოწვევასაც კი გეგმავდა, მაგრამ შემდეგ, გადაიფიქრა.

აქვე გეტყვით, რომ ფრანგული მედია მბაპეს მომავალზე მსჯელობს და ბოლო ცნობებით, ფეხბურთელი მომდევნო სეზონს აუცილებლად პსჟ-ში გაატარებს.

საქმე ისაა, რომ კილიანის თანაგუნდელმა ნეიმარმა კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმების წინ, პირობად შემადგენლობაში მბაპეს შენარჩუნება დააყენა, რაზეც თანხმობა მიიღო. მბაპეს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდება და პსჟ ყველაფერს გააკეთებს, რომ მასთან ახალი ხელშეკრულება გაფორმდეს.

# მანჩესტერმა სანჩოსთან კონტრაქტი შეათანხმა

გერმანული „დორტმუნდის" ნახევარმცველი ჯეიდონ სანჩო „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლასთან ერთ ნაბიჯშია.

როგორც ჟურნალისტი ფაბრიციო რომანო საკუთარ „ტვიტერზე" წერს, „წითელმა ეშმაკებმა" ფეხბურთელთან 2026 წლამდე კონტრაქტი შეათანხმეს. მოლაპარაკებების პროცესში ჯეიდონთან პრობლემები არ შექმნილა.

ახლა, „მანჩესტერი" „დორტმუნდთან" გამართავს მოლაპარაკებებს. როგორც უკვე ვწერდით, გერმანული კლუბი 21 წლის ინგლისელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 95 მილიონ ევროს ითხოვს.



# დელ პიერო: რონალდუს აღარ შეუძლია იმის კეთება, რასაც 5-10 წლის წინ აკეთებდა და ვალდებულია, ადაპტირდეს

ტურინის „იუვენტუსის" ლეგენდამ ალესანდრო დელ პიერომ გუნდის ფორვარდ კრიშტიანო რონალდუს ამჟამინდელ დონესთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოთქვა:

— ვფიქრობ, რონალდუ თავისი კარიერის იმ ფაზაში შევიდა, როდესაც უკვე აღარ შეუძლია აკეთოს ის, რასაც 5-10 წლის წინ ახერხებდა. ის ვალდებულია ადაპტირდეს ახლანდელ პოტენციალთან, რომელიც ჯერაც მაღალია...



— ჩემი აზრით, კრიშტიანო ალეგრის უნდა გაესაუბროს და მათ ერთად უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა მომავალში ერთობლივი მუშაობა, — განაცხადა დელ პიერომ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, იტალიური მედია ალეგრისა და რონალდუს შეხვედრაზე წერდა. მწვრთნელმა და ფეხბურთელმა სწორედ მომავალი თანამშრომლობის საკითხი განიხილეს.

„ფუტბოლ იტალია" კი წერს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რონალდუ ამ ზაფხულს სხვა კლუბში გადასვლას მოისურვებს, ნაკლები ხელფასი უნდა მოითხოვოს. ამჟამად, „იუვეში" მისი წლიური ანაზღაურება 30 მილიონი ევროა.

# ოფიციალურად: ვეინალდუმი პსჟ-ს ფეხბურთელია

მერსისაიდული „ლივერპულის" ყოფილი ნახევარმცველი ჯორჯინიო ვეინალდუმი პსჟ-ში გადავიდა. ტრანსფერის შესახებ ფრანგულმა კლუბმა ოფიციალურად გამოაცხადა. ნიდერლანდელმა ფეხბურთელმა 2024 წლამდე კონტრაქტს მოაწერა ხელი და ხელფასის სახით წელიწადში 10 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. იგი საფრანგეთში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

როგორც ცნობილია, მისი შეძენა კატალონიურ „ბარსელონას" სურდა. კლუბმა ნიდერლანდების ნაკრებში ნახევარმცველის შემოწმებისთვის სამედიცინო შტაბიც კი გაგზავნა, მაგრამ პსჟ-მ ფეხბურთელი კატალონიელებს ცხვირწინ ააცალა.

ვეინალდუმი „ლივერპულში" 2016 წელს „ნიუკასლიდან" გადავიდა. მანამდე ის, პსვ-სა და „ფეიენოორდში" თამაშობდა. დასრულებულ სეზონში ნახევარმცველმა პრემიერლიგის 38-ვე მატჩში ითამაშა და 2 გოლი გაიტანა.



# ბუფონმა ბარსელონას უარი უთხრა

ტურინის „იუვენტუსის" ლეგენდამ ჯიჯი ბუფონმა კატალონიური „ბარსელონას" წინადადებაზე უარი თქვა. ამის შესახებ ესპანური „სპორტი" წერს.

შეგახსენებთ, რომ 43 წლის



მეკარემ „იუვე" სეზონის დასრულების შემდეგ დატოვა და თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

„ბარსელონამ" ბუფონს გუნდში მეორე მეკარის სტატუსი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ბუფონს არ სურს სეზონის დიდი ნაწილის სათადარიგოთა სკამზე გატარება და ისეთ გუნდს ეძებს, რომელიც მას მეტ სათამაშო დროს მისცემს.

# ბასილაშვილი ჩილიჩთან დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა

ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა შტუტგარტის ბალახსაფარიანი ტურნირის მერვედფინალში გამოცდილ ხორვატ მარინ ჩილიჩთან ვერაფერი გააწყო და 2 სეტში, 3:6, 2:6 დამარცხდა.

შეხვედრა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. ნიკამ ჩილიჩის საუცხოო მოწოდების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. ხორვატმა 19 ეისი მოაწოდა.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## კრისტალბეთ ეროვნული ლიგა

*10 ივნისი, ხუთშაბათი*

### სამგურალი 1:3 ლოკომოტივი

*გოლი:* სიხარულიძე 7 (0:1), კუხიანიძე 19 პენ. (1:1), გავაშელიშვილი 27 (1:2), შონია 86 (1:3)

### დინამო ბთ. 3:0 თელავი

*გოლი:* ჯიღაური 50, ნიქაბაძე 77, ზარია 86

*გაძევება:* ფაცაცია 56 (თელავი)

*სატურნირო მდგომარეობა:*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო ბთ. | 16 | 10 | 4 | 2 | 31:10 | 34 |
| დინამო თბ. | 16 | 10 | 2 | 4 | 25:13 | 32 |
| ლოკომოტ. | 16 | 8 | 3 | 5 | 28:24 | 27 |
| საბურთალო | 16 | 7 | 6 | 3 | 22:18 | 27 |
| დილა | 16 | 7 | 4 | 5 | 18:15 | 25 |
| სამგურალი | 16 | 6 | 4 | 6 | 17:20 | 22 |
| ტორპედო | 16 | 3 | 8 | 5 | 15:15 | 17 |
| შუქურა | 16 | 3 | 6 | 7 | 14:24 | 15 |
| სამტრედია | 16 | 2 | 4 | 10 | 16:28 | 10 |
| თელავი | 16 | 1 | 5 | 10 | 10:29 | 8 |

**ბომბარდირები:** მარუშჩაკი (დინამო თბ.)-8; მანდრიჩენკო (საბურთალო)-7; ტაბატაძე (საბურთალო)-6; ფანცულაია (დინამო ბთ.)-6; კუხიანიძე (სამგურალი)-6; ჯიღაური (დინამო ბთ.)-6; იმრანი (ლოკომოტივი)-5; გაბედავა (დინამო თბ.)-5; მამუჩაშვილი (დინამო ბთ)-5.

## ბალტიის თასი

### ესტონეთი 2:1 ლატვია

**გოლი:** კაიტი 5, 40 (1:0, 2:0), იკაუნიეკსი 84 პენ. (2:1)

## ფინეთი

*ვეიკაუსლიგა*

| | |
|---|---|
| ინტერი-მარიერენსე | 3:0(1:0) |
| ჰაკა-ჰიკ | 1:2(0:0) |
| კტპ-ჰიფკ | 0:2(0:1) |
| ლაჰტი-ილვესი | 3:1(2:1) |
| სიკ-კუოპიო | 0:1(0:1) |

## ამხანაგური მატჩები

### აშშ 4:0 კოსტა რიკა

**გოლი:** აარონსონი 8, დაიკი 42, ქენონი 52, რეინა 77 პენ.

| | |
|---|---|
| სამხ.აფრიკა-უგანდა | 3:2(0:1) |
| ეგვიპტე(23)-სამხ.აფრიკა(23) | 2:0(1:0) |

## ავსტრალია

*A ლიგა*

| | |
|---|---|
| მელბურნ სიტი-ნიუკასლ ჯეტსი | 1:2(1:1) |

## ბრაზილია

*თასის 1/16 ფინალი II მატჩები*

| | |
|---|---|
| ატლეტიკო პრ-ავაი | 1:0(1:0) |
| ბაია-ვილა ნოვა | 1:0(0:0) |
| ჟუაზეირენსე-კრუზეირო | 1:0(0:0)3:2პ. |
| პალმეირასი-CBR | 0:1(0:1)3:4პ. |
| ატლეტიკო გო-კორინთიანსი | 0:0 |
| ბრაგანტინო-ფლუმინენსე | 2:1(0:0) |
| კრიკიუმა-ამერიკა მგ | 2:2(1:1)3:2პ. |
| ბრაზილიენსე-გრემიო | 0:0 |

## პერუ

*თასი*

| | |
|---|---|
| ხუან აურიში-ალიანსა ატლ. | 0:1(0:0) |
| უნ კომერციო-ალიანსა უა. | 4:1(1:0) |

## კალათბურთი

*NBA 1/4 ფინალი 4 მოგებამდე*

| | |
|---|---|
| ფინიქსი-დენვერი | 123:98 |
| | სერია 2:0 |

*ესპანეთი 1/2 ფინალი*

| | |
|---|---|
| რეალი-ვალენსია | 80:77 |
| | სერია 2:1 |

*VTB ლიგა ფინალი*

| | |
|---|---|
| ცსკა-უნიქსი | 89:81 |
| | სერია 3:0 |

*საბერძნეთი ფინალი*

| | |
|---|---|
| ლავრიო-პანათინაიკოსი | 66:82 |
| | სერია 1:3 |

*გერმანია ფინალი*

| | |
|---|---|
| ალბა ბერლინი-ბაიერნი | 66:76 |
| | სერია 1:1 |

## ჰოკეი

*NHL 1/4 ფინალი 4 მოგებამდე*

| | |
|---|---|
| აილენდერსი-ბოსტონი | 6:2 |
| | სერია 4:2 |

## ჩოგბურთი

***WTA-French Open (France), clay***

*1/2 ფინალი*

| | |
|---|---|
| პავლიუჩენკოვა-ზიდანსეკი | 7:5, 6:3 |
| კრეიჩიკოვა-საკარი | 7:5, 4:6, 9:7 |

***ATP-Stuttgart (Germany), grass***

| | |
|---|---|
| დუკვორთი-კერი | 4:6, 6:7 |
| სტრიკერი-ურკაცი | 7:6, 7:6 |
| ჩილიჩი-ბასილაშვილი | 6:3, 6:2 |
| უმბერი-ჰანფმანი | 7:6, 6:2 |
| დე მინაური-ტომპსონი | 6:7, 6:3, 6:4 |
| ჰარისი-ოჟე ალიასიმე | 3:6, 6:7 |
| როდიონოვი-გოჟოვცზიკი | (როდიონოვის ტრავმა) |

***WTA-Nottingham (Un. Kingdom), grass***

| | |
|---|---|
| გოლუბიჩი-ვან უიტვანკი | 1:6, 5:7 |
| კონტა-კოზლოვა | 6:2, 1:6, 6:3 |
| მლადენოვიჩი-მაკნალი | 7:6, 1:6, 6:1 |
| ქსი ვანგი-რისკე | 6:3, 5:7, 6:7 |
| ვეკიჩი-სტოიანოვიჩი | 3:6, 4:6 |
| გარსია პერესი-მარტინცოვა | 1:6, 6:3, 2:6 |
| ბოულტერი-ვატსონი | 7:6, 6:3 |
| დიასი-ჩანგი | 4:6, 2:6 |

# უეფამ უკრაინას ფორმიდან სლოგანის „დიდება გმირებს“ მოშორება მოსთხოვა

უეფამ რუსეთის ფეხბურთის კავშირის მოთხოვნით, ევროპის ჩემპიონატზე უკრაინის ნაკრების ფორმა შეისწავლა. ეკიპირებაზე დატანილია უკრაინის რუკა, რომლის შემადგენლობაში ყირიმიცაა. ასევე, სლოგანები: „დიდება უკრაინას“ და „დიდება გმირებს“.

უეფას განმარტებით, უკრაინის რუკა ეკიპირებაზე ორგანიზაციის წესებს არ არღვევს, რამდენადაც გაერო სახელმწიფოს სწორედ ძველ საზღვრებში აღიარებს. სლოგანი „დიდება უკრაინას“ ასევე დარჩება ეკიპირებაზე, რამდენადაც, ის არაპოლიტიკურად განიხილება. თუმცა, სლოგანი „დიდება გმირებს“, უნდა მოაშორონ, რადგან პირველ სლოგანთან ერთობლიობაში აშკარა პოლიტიკურ აზრს ატარებს.

უეფას გადაწყვეტილებას დიდი ხმაური მოჰყვა. უკრაინელმა გულშემატკივრებმა ორგანიზაციის სოციალურ ქსელზე იერიში მიიტანეს და კრიტიკა დაატეხეს. ქსელებში ათასობით კომენტარი გაჩნდა, რომელშიც ფანები უეფას კორუფციაში ადანაშაულებენ.

„დიდება გმირებს! ღირსება და პატივია, რაც გაზზე და ნავთობზე არ იყიდება“.

„რამდენი გადაგიხადეს? იქნებ ერთი რუბლი? დიდება უკრაინას!“

„ხომ არ ჯობია, რუსეთის ნაკრების ფორმაში შეიტანოთ ცვლილებები და საერთოდ მოხსნათ ის ჩემპიონატიდან. რამდენს აიღებდით ამაში? დიდება უკრაინას“.

# შერმადინი ესპანეთის კალათბურთის ისტორიაში შევიდა




როგორც იცით, გიორგი შერმადინის საუცხოო თამაშით, „ტენერიფემ“ ესპანეთის ლიგა ენდესას ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩში „ბარსელონა“ 80:68 დაამარცხა.

ქართველი ცენტრის მონაგარი ორმაგი დუბლი იყო - 21 ქულა, 10 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 2 დაფარება. სარგებლიანობის კოეფიციენტი კი, 37-ს გაუტოლდა და გიორგი მატჩის MVP გახდა.

როგორც ირკვევა, სწორედ სარგებლიანობის კოეფიციენტით, შერმადინი ესპანეთის კალათბურთის ისტორიაში შევიდა. ეს ქვეყნის ფლეი-ოფის ისტორიაში საუკეთესო შედეგია. წინამორბედი რეკორდი გრანადელ ედი ფილიპსს ეკუთვნოდა(35), რომელიც მან 1987 წელს დაამყარა.

„ბარსელონასთან“ სერიაში ანგარიში 1:1-ია და მესამე მატჩს „ტენერიფე“ სტუმრად დღეს გამართავს.

# ჯოკოვიჩი: რაფა ჩემი ყველაზე დიდი მეტოქეა

## ნადალი: ჩვენ სპორტში სწორედ ასეთი მომენტებისთვის ვართ

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** „როლან გაროსის“ ნახევარფინალში რაფაელ ნადალთან მოახლოებულ დაპირისპირებაზე ისაუბრა:

– ეს არ ჰგავს სხვა რომელიმე მატჩს. მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. ეს ჩემთვის შესაძლებელთაგან ყველაზე დიდი გამოწვევაა. რა თქმა უნდა, ყოველთვის, როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, დამატებითი დაძაბულობა და მოლოდინი წარმოიქმნება. სწორედ ამიტომ გახდა ჩვენი მეტოქეობა ისტორიული სპორტის ამ სახეობისთვის. მქონდა პატივი, ხშირად მეთამაშა მის წინააღმდეგ...

– მასთან და როჯერ ფედერერთან მეტოქეობამ უფრო ძლიერ მოთამაშედ მაქცია. მომცა საშუალება მივმხვდარიყავი, როგორ უნდა გამეუმჯობესებინა საკუთარი თამაში, რათა მიმეღწია იმ დონისთვის, რომელზეც ისინი იმყოფებოდნენ. ალბათ, რაფას ავირჩევ ყველაზე დიდ მეტოქედ მათ შორის, რომელთა წინააღმდეგაც მითამაშია. მის წინააღმდეგ მატჩის წინ განცდა ნებისმიერ დროს და საფარზე სრულიად განსხვავდება ყველასგან...

– საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ. მჯერა, რომ გამარჯვების მოპოვება შემიძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ არ ვიქნებოდი. საუცხოო ბრძოლა გველის, – განაცხადა ჯოკოვიჩმა.

კომენტარი გააკეთა **რაფაელ ნადალმაც:**

– ერთმანეთს მშვენივრად ვიცნობთ. ყველამ იცის, რომ ასეთ მატჩებში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. მოგების მეტი შანსი იმას ექნება, ვინც უკეთ ითამაშებს. სულ ეს არის. მნიშვნელოვანი მატჩია, მაგრამ ეს ნახევარფინალია და არა ფინალი. ამაშია სხვაობა. გამარჯვებულს კიდევ მოუწევს გარჯა ჩემპიონობისთვის. მხოლოდ იმის გაკეთება შემიძლია, რაც ჩემზეა დამოკიდებული. ვეცდები, რაც შეიძლება კარგად მოვემზადო. კარგია, რომ ჩემი საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება მომიწევს. ეს დიდი გამოწვევაა, მაგრამ სპორტში სწორედ ასეთი მომენტებისთვის ვართ. ნეგატიური მომენტი ისაა, რომ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელის წინააღმდეგ თამაში რთულია. თუმცა, არა გაეწყობა, – განაცხადა ნადალმა.



# ევრო-2020. 11 ივნისი-11 ივლისი კალენდარი

## A ჯგუფი

**იტალია**
**შვეიცარია**
**თურქეთი**
**უელსი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.06 | თურქეთი-იტალია | რომი | 23:00 |
| 12.06 | უელსი-შვეიცარია | ბაქო | 17:00 |
| 16.06 | თურქეთი-უელსი | ბაქო | 20:00 |
| 16.06 | იტალია-შვეიცარია | რომი | 23:00 |
| 20.06 | იტალია-უელსი | რომი | 20:00 |
| 20.06 | შვეიცარია-თურქეთი | ბაქო | 20:00 |

| | | | | | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | | | | | | | |
| შვეიცარია | | | | | | | |
| თურქეთი | | | | | | | |
| უელსი | | | | | | | |

## B ჯგუფი

**ბელგია**
**დანია**
**ფინეთი**
**რუსეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.06 | დანია-ფინეთი | კოპენჰაგენი | 20:00 |
| 12.06 | ბელგია-რუსეთი | სტ.პეტერბ. | 23:00 |
| 16.06 | ფინეთი-რუსეთი | სტ.პეტერბ. | 17:00 |
| 17.06 | დანია-ბელგია | კოპენჰაგენი | 20:00 |
| 21.06 | ფინეთი-ბელგია | სტ.პეტერბ. | 23:00 |
| 21.06 | რუსეთი-დანია | კოპენჰაგენი | 23:00 |

| | | | | | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | | | | | | | |
| დანია | | | | | | | |
| ფინეთი | | | | | | | |
| რუსეთი | | | | | | | |

## C ჯგუფი

**ავსტრია**
**ნიდერლანდები**
**ჩრდ.მაკედონია**
**უკრაინა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.06 | ავსტრია-ჩ.მაკედონია | ბუქარესტი | 20:00 |
| 13.06 | ნიდერლან.-უკრაინა | ამსტერდამი | 23:00 |
| 17.06 | უკრაინა-ჩ.მაკედონია | ბუქარესტი | 17:00 |
| 17.06 | ნიდერლან.-ავსტრია | ამსტერდამი | 23:00 |
| 21.06 | უკრაინა-ავსტრია | ბუქარესტი | 20:00 |
| 21.06 | ჩ.მაკედონია-ნიდერლან. | ამსტერდამი | 20:00 |

| | | | | | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | | | | | | | |
| ნიდერლანდ | | | | | | | |
| ჩ.მაკედონია | | | | | | | |
| უკრაინა | | | | | | | |

## D ჯგუფი

**ხორვატია**
**ჩეხეთი**
**ინგლისი**
**შოტლანდია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.06 | ინგლისი-ხორვატია | ლონდონი | 17:00 |
| 14.06 | შოტლანდია-ჩეხეთი | გლაზგო | 17:00 |
| 18.06 | ხორვატია-ჩეხეთი | გლაზგო | 20:00 |
| 18.06 | ინგლისი-შოტლანდია | ლონდონი | 23:00 |
| 22.06 | ჩეხეთი-ინგლისი | ლონდონი | 23:00 |
| 22.06 | ხორვატია-შოტლანდია | გლაზგო | 23:00 |

| | | | | | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | | | | | | | |
| ჩეხეთი | | | | | | | |
| ინგლისი | | | | | | | |
| შოტლანდია | | | | | | | |

## E ჯგუფი

**პოლონეთი**
**სლოვაკეთი**
**ესპანეთი**
**შვედეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.06 | პოლონეთი-სლოვაკეთი | სტ.პეტ. | 20:00 |
| 14.06 | ესპანეთი-შვედეთი | სევილია | 23:00 |
| 18.06 | შვედეთი-სლოვაკეთი | სტ.პეტ. | 17:00 |
| 19.06 | ესპანეთი-პოლონეთი | სევილია | 23:00 |
| 23.06 | შვედეთი-პოლონეთი | სტ.პეტ. | 20:00 |
| 23.06 | სლოვაკეთი-ესპანეთი | სევილია | 20:00 |

| | | | | | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | | | | | | | |
| სლოვაკეთი | | | | | | | |
| ესპანეთი | | | | | | | |
| შვედეთი | | | | | | | |

## F ჯგუფი

**საფრანგეთი**
**გერმანია**
**უნგრეთი**
**პორტუგალია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.06 | უნგრეთი-პორტუგალია | ბუდაპ. | 20:00 |
| 15.06 | საფრანგეთი-გერმანია | მიუნხენი | 23:00 |
| 19.06 | უნგრეთი-საფრანგეთი | ბუდაპ. | 17:00 |
| 19.06 | პორტუგალია-გერმანია | მიუნხენი | 20:00 |
| 23.06 | გერმანია-უნგრეთი | მიუნხენი | 23:00 |
| 23.06 | პორტუგალია-საფრანგეთი | ბუდაპ. | 23:00 |

| | | | | | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | | | | | | | |
| გერმანია | | | | | | | |
| უნგრეთი | | | | | | | |
| პორტუგალია | | | | | | | |

## ევროპის ჩემპიონატის ყველა ფინალი

1960 წ. **სსრკ** 2:1 იუგოსლავია
1964 წ. **ესპანეთი** 2:1 სსრკ
1968 წ. იტალია 1:1 იუგოსლავია
გადათამაშება
**იტალია** 2:0 იუგოსლავია
1972წ. **გფრ** 3:0 სსრკ
1976წ. **ჩეხოსლოვაკია** 2:2(5:3პ.) გფრ
1980წ. ბელგია 1:2 **გფრ**
1984წ. **საფრანგეთი** 2:0 ესპანეთი
1988წ. სსრკ 0:2 **ნიდერლანდები**
1992წ. **დანია** 2:0 გერმანია
1996წ. ჩეხეთი 1:2 **გერმანია**
2000წ. **საფრანგეთი** 2:1 იტალია
2004წ. პორტუგალია 0:1 **საბერძნეთი**
2008წ. გერმანია 0:1 **ესპანეთი**
2012წ. **ესპანეთი** 4:0 იტალია
2016წ. **პორტუგალია** 1:0 საფრანგეთი

### *ბომბარდირები:*

| | |
|---|---|
| მიშელ პლატინი (საფრანგეთი) | 9გ. |
| კრიშტიანო რონალდუ (პორტუგალია) | 9 |
| ოლე მადსენი (დანია) | 7 |
| ალან შირერი (ინგლისი) | 7 |
| რუუდ ვან ნისტელროოი (ნიდერლანდები) | 6 |
| პატრიკ კლუივერტი (ნიდერლანდები) | 6 |
| ანტუან გრიზმანი (საფრანგეთი) | 6 |
| ტიერი ანრი (საფრანგეთი) | 6 |
| უეინ რუნი (ინგლისი) | 6 |
| ნუნო გომეში (პორტუგალია) | 6 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი) | 6 |
| ვიქტორ პონედელნიკი (სსრკ) | 6 |
| ფერენს ბენე (უნგრეთი) | 5 |
| ამანსიო ამარო(ესპანეთი) | 5 |
| მილან გალიჩი (იუგოსლავია) | 5 |
| ჟან ვენსანი (საფრანგეთი) | 5 |
| დრაგან ჯაიჩი (იუგოსლავია) | 5 |
| გერდ მიულერი (გფრ) | 5 |
| მარკო ვან ბასტენი (ნიდერლანდები) | 5 |
| სავო მილოშევიჩი (სერბეთი) | 5 |
| იურგენ კლინსმანი (გერმანია) | 5 |
| მილან ბაროში (ჩეხეთი) | 5 |
| ჟუსტ ფონტენი (საფრანგეთი) | 5 |
| მარიო გომესი (გერმანია) | 5 |
| ფერნანდო ტორესი (ესპანეთი) | 5 |
| ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) | 5 |

### *მერვედფინალი*

| | | | |
|---|---|---|---|
| 26.06 | A2-B2 | ამსტერდამი | 20:00 |
| 26.06 | A1-C2 | ლონდონი | 23:00 |
| 27.06 | C1-(D,E,F)3 | ბუდაპეშტი | 20:00 |
| 27.06 | B1-(A,D,E,F)3 | სევილია | 23:00 |
| 28.06 | D2-E2 | კოპენჰაგენი | 20:00 |
| 28.06 | F1-(A,B,C)3 | ბუდაპეშტი | 23:00 |
| 29.06 | D1-F2 | ლონდონი | 20:00 |
| 29.06 | E1-(A,B,C,D)3 | გლაზგო | 23:00 |

### *მეოთხედფინალი*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02.07 | F1/(A,B,C)3 - D2/E2 | პეტერ. | 20:00 | (1) |
| 02.07 | B1/(A,D,E,F)3 - A1/C2 | მიუნხენი | 23:00 | (2) |
| 03.07 | C1/(D,E,F)3 - A2-B2 | ბაქო | 18:00 | (3) |
| 03.07 | E1/(A,B,C,D)3 - D1/F2 | რომი | 22:00 | (4) |

### *ნახევარფინალი*

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.07 | 2-ის გამ.-1-ის გამ. | ლონდონი | 23:00 |
| 07.07 | 4-ის გამ.-3-ის გამ. | ლონდონი | 23:00 |

**11.07 ფინალი ლონდონი „უემბლი" 23:00**

## A ჯგუფი

### იტალია

***მეკარეები:*** ჯანლუიჯი დონარუმა (მილანი), სალვატორე სირიგუ (ტორინო), ალექს მერეტი (ნაპოლი)

***მცველები:*** ლეონარდო ბონუჩი, ჯორჯო კიელინი (ორივე იუვენტუსი), ფრანჩესკო აჩერბი (ლაციო), ალესანდრო ბასტონი (ინტერი), ჯოვანი დი ლორენცო (ნაპოლი), ემერსონი (ჩელსი, ინგლისი), ალესანდრო ფლორენცი (პსჟ, საფრანგეთი), ლეონარდო სპინაცოლა (რომა), რაფაელ ტოლოი (ატალანტა)

***ნახევარმცველები:*** ნიკოლო ბარელა (ინტერი), მატეო პესინა (ატალანტა), ბრაიან კრისტანტე, ლორენცო პელეგრინი (ორივე რომა), მანუელ ლოკატელი (სასუოლო), მარკო ვერატი (პსჟ, საფრანგეთი), ჟორჟინიო (ჩელსი, ინგლისი)

***თავდამსხმელები:*** ფედერიკო ბერნარდესკი, ფედერიკო კიეზა (ორივე იუვენტუსი), ანდრეა ბელოტი (ტორინო), ჩირო იმობილე (ლაციო), ლორენცო ინსინიე (ნაპოლი), დომენიკო ბერარდი, ჯაკომო რასპადორი (ორივე სასუოლო).

### შვეიცარია

***მეკარეები:*** იან ზომერი (გლადბახი, გერმანია), ივონ მვოგო (პსვ, ნიდერლანდები), იონას ომლინი (მონპელიე, საფრანგეთი)

***მცველები:*** კევინ მბაბუ (ვოლფსბურგი, გერმანია), სილვან ვიდმერი (ბაზელი), ნიკო ელვედი (გლადბახი, გერმანია), მანუელ აკანჯი (დორტმუნდი, გერმანია), რიკარდო როდრიგესი (ტორინო, იტალია), ლორის ბენიტო (ბორდო, საფრანგეთი), ფაბიან შერი (ნიუკასლი, ინგლისი), ბეჩირ ომერაგიჩი (ციურიხი), ერაი ჩომერთი (ბაზელი), ჯორდან ლოტომბა (ნიცა, საფრანგეთი)

***ნახევარმცველები:*** დენის ზაკარია (გლადბახი, გერმანია), რემო ფროილერი (ატალანტა, იტალია), გრანიტ ჯაკა (არსენალი, ინგლისი), რუბენ ვარგასი (აუგსბურგი, გერმანია), სტივენ ცუბერი (აინტრახტი, გერმანია), ჯიბრილ სოუ (აინტრახტი, გერმანია), კრისტიან ფასნახტი (იანგ ბოიზი), ედმილსონ ფერნანდესი (მაინცი, გერმანია), შერდან შაქირი (ლივერპული, ინგლისი)

***თავდამსხმელები:*** ბილ ემბოლო (გლადბახი, გერმანია), ჰარის სეფეროვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), ადმირ მეჰმედი (ვოლფსბურგი, გერმანია), მარიო გავრანოვიჩი (დინამო, ხორვატია)

### თურქეთი

***მეკარეები:*** ალტაი ბაინდირი (ფენერბაჰჩე), მერტ ფეჰმი გიუნოკი (ბაშაქშეჰირი), უგურჯან ჩაქირი (ტრაბზონსფორი)

***მცველები:*** ზეკი მეჰმეტ ჩელიქი (ლილი, საფრანგეთი), ჩაგლარ სიუნჯუ (ლესტერი, ინგლისი), კან აიჰანი, მერტ მიულდური (ორივე სასუოლო, იტალია), მერიხ დემირალი (იუვენტუსი, იტალია), ოზან კაბაკი (შალკე, გერმანია), რიდვან ილმაზი (ბეშიქთაში), უმით ჯენგიზ მერაში (ჰავრი, საფრანგეთი)

***ნახევარმცველები:*** იუსუფ იაზიგი (ლილი, საფრანგეთი), დორუკჰან ტოკეზი (ბეშიქთაში), ირფან ჯან კახვეჩი, ოზან თუფანი (ორივე ფენერბაჰჩე), ოკაი იოკუშლუ (სელტა, ესპანეთი), ორქუნ კიოკჩუ (ფეიენოორდი, ნიდერლანდები), ტაილან ანდალიალი (გალათასარაი), ჰაქან ჩალჰანოღლუ (მილანი, იტალია)

***თავდამსხმელები:*** ბურაქ ილმაზი (ლილი, საფრანგეთი), ჯენგიზ უნდერი (რომა, იტალია), ენეს უნალი (ხეტაფე, ესპანეთი), აბდულკადირ ომიური (ტრაბზონსფორი), მუაჰედ კერემ აკტურკოღლუ (გალათასარაი), ჰალილ დერვიშოღლუ (ბრენდფორდი, ინგლისი), კენან კარამანი (დიუსელდორფი, გერმანია).

### უელსი

***მეკარეები:*** უეინ ჰენესი (კრ. პალასი, ინგლისი), დენი უორდი (ლესტერი, ინგლისი), ადამ დევისი (სტოკი, ინგლისი)

***მცველები:*** კრის განტერი (ჩარლტონი, ინგლისი), ნეკო უილიამსი (ლივერპული, ინგლისი), ბენ დევისი (ტოტენჰემი, ინგლისი), ტომ ლოკიერი (ლუთონი, ინგლისი), ჯო როდონი (ტოტენჰემი, ინგლისი), კონორ რობერტსი (სუონსი), ითან ამპადუ (შეფილდი, ინგლისი), რის ნორინგტონ-დევისი (სტოკი, ინგლისი), კრის მეფემი (ბორნმუთი, ინგლისი), ბენ კაბანგო (სუონსი)

***ნახევარმცველები:*** ჯო ალენი (სტოკი, ინგლისი), ჰარი უილსონი (კარდიფი), აარონ რემზი (იუვენტუსი, იტალია), ჯო მორელი (ლუთონი, ინგლისი), ჯონი უილიამსი (კარდიფი), დევიდ ბრუქსი (ბორნმუთი, ინგლისი), დანიელ ჯეიმსი (მანჩესტერი, ინგლისი), დილან ლევიტი (ისტრა. ხორვატია), რუბინ კოლვილი (კარდიფი), მეტიუ სმიტი (დონკასტერი, ინგლისი)

***თავდამსხმელები:*** ტაილერ რობერტსი (ლიდსი, ინგლისი), გარეტ ბეილი (ტოტენჰემი, ინგლისი), კიფერ მური (კარდიფი)

## B ჯგუფი

### ბელგია

***მეკარეები:*** ტიბო კურტუა (რეალი, ესპანეთი), სიმონ მინოლე (ბრიუგე), მატც ზელსი (სტრასბური, საფრანგეთი)

***მცველები:*** ტობი ალდერვეირელდი (ტოტენჰემი, ინგლისი), დედრიკ ბოიატა (ჰერტა, გერმანია), ჯეისონ დენაიერი (ლიონი, საფრანგეთი), ტომას ვერმაელენი (ვისელ კობე, იაპონია), იან ვერტონგენი (ბენფიკა, პორტუგალია), ტომა მუნიე (დორტმუნდი, გერმანია), ტიმოტი კასტანი (ლესტერი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** იანიკ ფერეირა კარასკო (ატლეტიკო, ესპანეთი), ნასერ შადლი (ისთანბული, თურქეთი), ტორგან აზარი, აქსელ ვიტცელი (ორივე დორტმუნდი, გერმანია), კევინ დე ბრუინე (სიტი, ინგლისი), ლეანდერ დენდონკერი (ვულვზი, ინგლისი), დენის პრატი, იური ტილემანსი (ორივე ლესტერი, ინგლისი), ჰანს ვანაკენი (ბრიუგე), ჟერემი დოკუ (რენი, საფრანგეთი), ედენ აზარი (რეალი, ესპანეთი), დრის მერტენსი (ნაპოლი, იტალია), ლეანდრო ტროსარდი (ბრაიტონი, ინგლისი)

***თავდამსხმელები:*** მიში ბატშუაი, კრისტიან ბენტეკე (ორივე კრისტალ პალასი, ინგლისი), რომელუ ლუკაკუ (ინტერი, იტალია).

### დანია

***მეკარეები:*** კასპერ შმეიხელი (ლესტერი, ინგლისი), იონას ლესლი (ევერტონი, ინგლისი), ფრედერიკ რენოვი (შალკე, გერმანია)

***მცველები:*** მატიას იორგენსენი, ნიკოლაი ბოილესენი (ორივე კოპენჰაგენი), სიმონ კიაერი (მილანი, იტალია), ანდრეას კრისტენსენი (ჩელსი, ინგლისი), იანიკ ვესტერგორი (საუთჰემპტონი, ინგლისი), იოახიმ ანდერსენი (ფულჰემი, ინგლისი), დანიელ ვასი (ვალენსია, ესპანეთი), იენს სტრიუგერ ლარსენი (უდინეზე, იტალია), იოაკიმ მეჰლე (ატალანტა, იტალია)

***ნახევარმცველები:*** კრისტიან ერიკსენი (ინტერი, იტალია), ტომას დილეინი (დორტმუნდი, გერმანია), პიერ-ემილ ჰოიბიერგი (ტოტენჰემი, ინგლისი), მატიას იენსენი, კრისტიან ჰერგორი (ორივე ბრედფორდი, ინგლისი), ანდერს კრისტიანსენი (მალმიო, შვედეთი)

***თავდამსხმელები:*** კასპერ დოლბერგი (ნიცა, საფრანგეთი), იონას ვინი (კოპენჰაგენი), ანდრეას კორნელიუსი (პარმა, იტალია), მარტინ ბრაიტვაიტი (ბარსელონა, ესპანეთი), რობერტ სკოვი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), მიკელ დამსგორი (სამპდორია, იტალია), იუსუფ პოულსენი (ლაიპციგი, გერმანია), ანდრეას სკოვ ოლსენი (ბოლონია, იტალია).

### ფინეთი

***მეკარეები:*** ლუკას ჰრადეცკი (ლევერკუზენი, გერმანია), იეს იერონენი (ბრეშა, იტალია), ანსი იააკოლა (ბრისტოლი, ინგლისი)

***მცველები:*** პაულუს არაიური (პაფოსი, კვიპროსი), დანიელ ოშენესი (ჰიკი), იოონა ტოივიო (ჰაკენი, შვედეთი), ლეო ვაისანენი (ელფსბორგი, შვედეთი), პირი სოირი (ესბიერგი, დანია), საული ვაისანენი (კიევო, იტალია), ნიკოლაი ალჰო (ბუდაპეშტი, უნგრეთი), იერე ურონენი (გენკი, ბელგია), იუკა რაიტალა (მინესოტა, აშშ), რობერტ ივანოვი (ვარტა, პოლონეთი)

***ნახევარმცველები:*** გლენ კამარა (რეინჯერსი, შოტლანდია), რობერტ ტეილორი (ბრანი, ნორვეგია), რობინ ლოდი (მინესოტა, აშშ), ფრედრიკ იანსენი (აუგსბურგი, გერმანია), ტეემუ პუკი (ნორვიჩი, ინგლისი), რასმუს შიულერი (დიურგარდენსი, შვედეთი), ტიმ სპარვი (აელ, საბერძნეთი), ტომას ლამი (ზვოლე, ნიდერლანდები), ჯონი კაუკო (ესბიერგი, დანია), ჟოელ პოიანპაოლო (უნიონი, გერმანია),

***თავდამსხმელები:*** ლასი ლაპალაინენი (მონრეალი, კანადა), ონი ვალაკარი (პაფოსი, კვიპროსი), მარკუს ფორსი (ბრენტფორდი, ინგლისი).

### რუსეთი

***მეკარეები:*** იური დიუპინი (რუბინი), მატვეი საფონოვი (კრასნოდარი), ანტონ შუნინი (დინამო)

***მცველები:*** ფიოდორ კუდრიაშოვი (ანთალიასპორი, თურქეთი), ანდრეი სიმიონოვი (ახმატი), გიორგი ჯიქია (სპარტაკი), იგორ დივეევი, მარიო ფერნანდესი (ორივე ცსკა), ვიაჩესლავ კარავაევი, იური ჟირკოვი (ორივე ზენიტი)

***ნახევარმცველები:*** რიფატ ჟემელეტდინოვი, დმიტრი ბარინოვი (ორივე ლოკომოტივი), დენის ჩერიშევი (ვალენსია, ესპანეთი), მაქსიმ მუხინი (ცსკა), ალექსანდრ გოლოვინი (მონაკო, საფრანგეთი), დანილ ფომინი (დინამო), ალექსეი იონოვი (კრასნოდარი), რომან ზობნინი (სპარტაკი), დალერ კუზიაევი, ანდრეი მოსტოვოი, მაგომედ ოზდოევი (ყველა ზენიტი), ალექსეი მირანჩუკი (ატალანტა), დენის მაკაროვი (რუბინი)

***თავდამსხმელები:*** ალექსანდრ სობოლევი (სპარტაკი), არტიომ ძიუბა (ზენიტი), ანტონ ზაბოლოტნი (ცსკა).

## C ჯგუფი

### ავსტრია

***მეკარეები:*** ალექსანდერ შლაგერი (ლინცი), პავაო პერვანი (ვოლფსბურგი, გერმანია), დანიელ ბახმანი (უოტფორდი, ინგლისი)

***მცველები:*** ანდრეას ულმერი (ზალცბურგი), ალექსანდერ დრაგოვიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), მარტინ ჰინტერეგერი (აინტრახტი, გერმანია), შტეფან პოში (ჰოფენჰაიმი, გერმანია), დავიდ ალაბა (რეალი, ესპანეთი), ფილიპ ლინჰარტი (ფრაიბურგი, გერმანია), შტეფან ლაინერი (გლადბახი, გერმანია), მარკო ფრიდლი (ვერდერი, გერმანია)

***ნახევარმცველები:*** შტეფან ილსანკერი (აინტრახტი, გერმანია), მარსელ საბიტცერი (ლაიპციგი, გერმანია), ფლორიან გრილიტში (ჰოფენჰაიმი, გერმანია), იულიან ბაუმგარტლინგერი (ლევერკუზენი, გერმანია), კრისტოფერ ტრიმელი (უნიონი, გერმანია), ლუის შაუბი (ლუცერნი, შვეიცარია), ალესანდრო შიოპფი (შალკე, გერმანია), კრისტოფ ბაუმგარტნერი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), ქარიმ ონისივო (მაინცი, გერმანია), ვალენტინო ლაზარო (გლადბახი, გერმანია), ქსავიერ შლაგერი (ვოლფსბურგი, გერმანია), კონრად ლაიმერი (ლაიპციგი, გერმანია)

***თავდამსხმელები:*** მარკო არნაუტოვიჩი (შანხაი პორტი, ჩინეთი), მიხაელ გრეგორიტში (აუგსბურგი, გერმანია), საშა კალაიჯიჩი (შტუტგარტი, გერმანია)

### ნიდერლანდები

***მეკარეები:*** იესპერ სილესენი (ვალენსია, ესპანეთი), ტიმ კრული (ნორვიჩი, ინგლისი), მარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი)

***მცველები:*** პატრიკ ვან ანჰოლტი (კრისტალ პალასი, ინგლისი), ნათან აკე (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), დეილი ბლინდი, იურენ ტიმბერი (ორივე აიაქსი), დენზელ დუმფრისი (პსვ), მატეის დე ლიხტი (იუვენტუსი, იტალია), იოელ ველტმანი (ბრაიტონი, ინგლისი), სტეფან დე ვრეი (ინტერი, იტალია), ოუენ ვეინდალი (ალკმაარი)

***ნახევარმცველები:*** რაიან გრავენბერხი, დევი კლაასენი (ორივე აიაქსი), ფრენკი დე იონგი (ბარსელონა, ესპანეთი), ტენ კოპმეინერსი (ალკმაარი), მარტენ დე რუნი (ატალანტა, იტალია), ჟორჟინიო ვეინალდუმი (ლივერპული, ინგლისი), ქვინსი პრომესი (სპარტაკი, რუსეთი)

***თავდამსხმელები:*** სტივენ ბერგვიუსი (ფეიენოორდი), მემფის დეპაი (ლიონი, საფრანგეთი), კოდი გაკპო, დონიელ მალენი (ორივე პსვ), ლუკ დე იონგი (სევილია, ესპანეთი), ვუტ ვეგჰორსტი (ვოლფსბურგი, გერმანია).

### ჩრდ. მაკედონია

***მეკარეები:*** სტოლე დიმიტრიევსკი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), რისტო იანკოვი (რაბოტნიჩკი), დამიან შიშკოვსკი (დოქსა, კვიპროსი)

***მცველები:*** ეგზონ ბეიტულაი (შკენდია), გიოკო ზაიკოვი (შარლერუა, ბელგია), კირე რისტევსკი (უიპეშტი, უნგრეთი), ვისარ მუსლიუ (ფეერვარი, უნგრეთი), ეზგიან ალიოსკი (ლიდსი, ინგლისი), სტეფან რისტოვსკი (დინამო, ხორვატია), დარკო ველკოვსკი (რიეკა, ხორვატია)

***ნახევარმცველები:*** არიან ადემი (დინამო, ხორვატია), ფერჰან ჰასანი (პარტიზანი, ალბანეთი), ტიჰომირ კოსტადინოვი (რუჟომბეროკი, სლოვაკეთი), ბობან ნიკოლოვი (ლეჩე, იტალია), ენის ბარდჰი (ლევანტე, ესპანეთი), სტეფან სპიროვსკი (აეკ, კვიპროსი), ელიფ ელმასი (ნაპოლი, იტალია), დარკო ჩურლინოვი (შტუტგარტი, გერმანია), მილან რისტოვსკი (ტრნავა, სლოვაკეთი)

***თავდამსხმელები:*** ივან ტრიჩკოვსკი (აეკ, კვიპროსი), ალექსანდარ ტრაიკოვსკი (მალიორკა, ესპანეთი), გორან პანდევი (ჯენოა, იტალია), ვლატკო სტოიანოვსკი (შამბლი, საფრანგეთი), კრსტე ველკოსკი (სარაევო, ბოსნია), მარიან რადესკი (აკადემია პანდევი), დანიელ ავრამოვსკი (ქაისერი, თურქეთი)

### უკრაინა

***მეკარეები:*** გეორგი ბუშანი (დინამო კიევი), ანდრეი პიატოვი, ანატოლი ტრუბინი (ორივე შახტარი)

***მცველები:*** ანატოლი სობოლი (ბრიუგე, ბელგია), სერგეი კრივცოვი, მიკოლა მატვიენკო (ორივე შახტარი), ილია ზაბარნი, დენის პოპოვი, ოლექსანდრ ტიმჩიკი, ვიტალი მიკოლენკო, ოლექსანდრ კარავაევი (ყველა დინამო კიევი),

***ნახევარმცველები:*** სერგეი სიდორჩუკი, მიკოლა შაპარენკო, ვიქტორ ციგანკოვი (ყველა დინამო კიევი), რუსლან მალინოვსკი (ატალანტა, იტალია), მარლოსი, ტარას სტეპანენკო, გეორგი სუდაკოვი (ყველა შახტარი), ევგენი მაკარენკო (კორტრაიკი, ბელგია), ოლექსანდრ ზინჩენკო (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ანდრეი იარმოლენკო (ვესტ ჰემი, ინგლისი), ოლექსანდრ ზუბკოვი (ფერენცვაროში, უნგრეთი), რომან ბეზუსი (გენტი, ბელგია)

***თავდამსხმელები:*** რომან იარემჩუკი (გენტი, ბელგია), არტიომ ბესედინი (დინამო კიევი), არტიომ დოვბიკი (დნიპრო)

## D ჯგუფი

### ხორვატია

***მეკარეები:*** ლოვრე კალინიჩი (ჰაიდუკი), დომინიკ ლივაკოვიჩი (დინამო), სიმონ სლუგა (ლუტონი, ინგლისი)

***მცველები:*** დომაგოი ვიდა (ბეშიქთაში, თურქეთი), დეიან ლოვრენი (ზენიტი, რუსეთი), შიმე ვრსალკო (ატლეტიკო, ესპანეთი), ბორნა ბარიშიჩი (რეინჯერსი, შოტლანდია), დუჟე კალეტა-ცარი (მარსელი, საფრანგეთი), იოსიპ იურანოვიჩი (ლეგია, პოლონეთი), დომაგოი ბრადარიჩი (ლილი, საფრანგეთი), მილე შკორიჩი (ოსიეკი, ხორვატია), იოშკო გვარდიოლი (დინამო)

***ნახევარმცველები:*** ლუკა მოდრიჩი (რეალი, ესპანეთი), მატეო კოვაჩიჩი (ჩელსი, ინგლისი), მარსელო ბროზოვიჩი (ინტერი, იტალია), მილან ბადელი (ჯენოა, იტალია), მარიო პაშალიჩი (ატალანტა, იტალია), ნიკოლა ვლაშიჩი (ცსკა, რუსეთი), ლუკა ივანუშეჩი (დინამო)

***თავდამსხმელები:*** ივან პერიშიჩი (ინტერი, იტალია), ანდრეი კრამარიჩი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), ანტე რებიჩი (მილანი, იტალია), იოსიპ ბრეკალო (ვოლფსბურგი, გერმანია), ბრუნო პეტკოვიჩი, მისლავ ორშიჩი (ორივე დინამო), ანტე ბუდიმირი (ოსასუნა, ესპანეთი).

### ჩეხეთი

***მეკარეები:*** ალეშ მანდოუსი (სიგმა), ირჟი პავლენკა (ვერდერი, გერმანია), ტომაშ ვაცლიკი (სევილია, ესპანეთი)

***მცველები:*** იან ბორჟილი (სლავია), იაკუბ ბრაბეცი (პლზენი), ვლადიმირ ცოუფალი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ონდრეი ჩელუსტკა (სპარტა), პაველ კადერაბეკი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), ტომაშ კალასი (ბრისტოლი, ინგლისი), ალეშ მატეიუ (ბრეშა, იტალია), დავიდ ზიმა (სლავია)

***ნახევარმცველები:*** ანტონიო ბარაკი (ვერონა, იტალია), ვლადიმირ დარიდა (ჰერტა, გერმანია), ადამ გლოჟეკი (სპარტა), ტომაშ გოლეში (სლავია), იაკუბ იანკტო (სამპდორია, იტალია), ალექს კრალი (სპარტაკი, რუსეთი), ლუკაშ მასოპუსტი (სლავია), იაკუბ პეშეკი (სლოვანი), ტომაშ სოუჩეკი (ვესტ ჰემი, ინგლისი), პეტრ შევჩიკი (სლავია)

***თავდამსხმელები:*** მიხაელ კრმენჩიკი (პაოკ, საბერძნეთი), ტომაშ პეკჰარტი (ლეგია, პოლონეთი), პატრიკ შიკი (ლევერკუზენი, გერმანია), მატეი ვიდრა (ბარნლი, ინგლისი).

### ინგლისი

***მეკარეები:*** დინ ჰენდერსონი (მანჩესტერი), სემ ჯონსტონი (ვესტ ბრომვიჩი), ჯორდან პიკფორდი (ევერტონი)

***მცველები:*** ბენ უაითი (ბრაიტონი), ბენ ჩილუელი (ჩელსი), რის ჯეიმსი (ჩელსი), კონორ კოდი (ვულვზი), ჰარი მაგუაირი (მანჩესტერი), ლუკ შოუ (მანჩესტერი), ტაირონ მინგსი (ასტონ ვილა), ჯონ სტოუნსი (სიტი), კაილ უოკერი (სიტი), კირან ტრიპიერი (ატლეტიკო, ესპანეთი)

***ნახევარმცველები:*** ჯუდ ბელინგემი (დორტმუნდი, გერმანია), ჯორდან ჰენდერსონი (ლივერპული), მეისონ მაუნტი (ჩელსი), კალვინ ფილიპსი (ლიდსი), დეკლან რაისი (ვესტ ჰემი)

***თავდამსხმელები:*** დომინიკ კალვერტ ლიუინი (ევერტონი), მარკუს რაშფორდი (მანჩესტერი), ჰარი კეინი (ტოტენჰემი), რაჰიმ სტერლინგი (სიტი), ფილ ფოდენი (სიტი), ჯეიდონ სანჩო (დორტმუნდი, გერმანია), ჯეკ გრილიში (ასტონ ვილა), ბაკაიო საკა (არსენალი).

### შოტლანდია

***მეკარეები:*** დევიდ მარშალი (დერბი, ინგლისი), კრეიგ გორდონი (ჰარტი), ჯონ მაკლაფლინი (რეინჯერსი)

***მცველები:*** სტივენ ოდონელი (მოზერველი), ენდრიუ რობერტსონი (ლივერპული, ინგლისი), გრანტ ჰენლი (ნორვიჩი, ინგლისი), კირან ტირნი (არსენალი, ინგლისი), გრეგ ტეილორი (სელტიკი), დეკლან გალაჰერი (მოზერველი), ლაიამ კუპერი (ლიდსი, ინგლისი), ნათან პატერსონი (რეინჯერსი), ჯეკ ჰენდრი (ოსტენდე, ბელგია), სკოტ მაკენა (ნოტინგემი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** სკოტ მაკტომინეი (მანჩესტერი, ინგლისი), ჯონ მაკგინი (ასტონ ვილა, ინგლისი), კალუმ მაკგრეგორი, რაიან კრისტი (ორივე სელტიკი), ჯონ ფლეკი (შეფილდი, ინგლისი), სტიუარტ არმსტრონგი (საუთჰემპტონი, ინგლისი), დევიდ ტერნბული (სელტიკი), ბილი გილმორი (ჩელსი, ინგლისი)

***თავდამსხმელები:*** ლინდონ დაიქსი (ქ. პარკი, ინგლისი), ჩე ადამსი (საუთჰემპტონი, ინგლისი), კევინ ნისბეტი (ჰიბერნიანი), რაიან ფრეზერი (ნიუკასლი, ინგლისი), ჯეიმს ფორესტი (სელტიკი).

## E ჯგუფი

### პოლონეთი

***მეკარეები:*** ვოიცეხ შჩესნი (იუვენტუსი, იტალია), ლუკაშ სკორუპსკი (ბოლონია, იტალია), ლუკაშ ფაბიანსკი (ვესტ ჰემი, ინგლისი)

***მცველები:*** კამილ პიატკოვსკი (რაკოვი), ტომაშ კენძიორა (დინამო, უკრაინა), იან ბედნარეკი (საუთჰემპტონი, ინგლისი), მაცეი რიბუსი (ლოკომოტივი, რუსეთი), კამილ გლიკი (ბენევენტო, იტალია), ბარტოშ ბერეშინსკი (სამპდორია, იტალია), მიხალ ჰელიკი (ბარნსლი, ინგლისი), ტიმოტეუშ პუხაჩი (ლეხი)

***ნახევარმცველები:*** პაველ დავიდოვიჩი (ვერონა, იტალია), კაცპერ კოზლოვსკი (პოგონი), კაროლ ლინეტი (ტორინო, იტალია), გრჟეგორჟ კრიხოვიაკი (ლოკომოტივი, რუსეთი), მატეუშ კლიხი (ლიდსი, ინგლისი), იაკუბ მოდერი (ბრაიტონი, ინგლისი), პრჟემისლავ პლახეტა (ნორვიჩი, ინგლისი), პრჟემისლავ ფრანკოვსკი (ჩიკაგო, აშშ), პიოტრ ზელინსკი (ნაპოლი, იტალია), კამილ იოჟვიაკი (დერბი, ინგლისი)

***თავდამსხმელები:*** რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი, გერმანია), კაროლ შვიდერსკი (პაოკ, საბერძნეთი), დავიდ კოვნაცკი (ფორტუნა, გერმანია), იაკუბ შვიერჩოკი (პიასტი)

### სლოვაკეთი

***მეკარეები:*** მარტინ დუბრავკა (ნიუკასლი, ინგლისი), დუშან კუციაკი (ლეხია, პოლონეთი), მარეკ როდაკი (ფულჰემი, ინგლისი)

***მცველები:*** პეტერ პეკარიკი (ჰერტა, გერმანია), დენის ვავრო (უესკა, ესპანეთი), მარტინ ვალიენტი (მალიორკა, ესპანეთი), ლუბომირ შატკა (ლეხი, პოლონეთი), მილან შკრინიარი (ინტერი, იტალია), ტომაშ ჰუბოჩანი (ომონია, კვიპროსი), დავიდ ჰანკო (სპარტა, ჩეხეთი), მარტინ კოშელნიკი (ლიბერეცი, ჩეხეთი)

***ნახევარმცველები:*** იან გრეგუში (მინესოტა, აშშ), ვლადიმირ ვაისი (სლოვანი), ონდრეი დუდა (კიოლნი, გერმანია), ტომაშ სუსლოვი (გრონინგენი, ნიდერლანდები), ლასლო ბენეში (აუგსბურგი, გერმანია), პატრიკ ჰროშოვსკი (გენკი, ბელგია), ლუკაშ ჰარასლინი (სასუოლო, იტალია), იურაი კუჩკა (პარმა, იტალია), სტანისლავ ლობოტკა (ნაპოლი, იტალია), იაკუბ ჰრომადა (სლავია, ჩეხეთი)

***თავდამსხმელები:*** რობერტ ბოჟენიკი (ფეიენოორდი, ნიდერლანდები), მარეკ ჰამშიკი (გიოტებორგი, შვედეთი), რობერტ მაკი (ფერენცვაროში, უნგრეთი), მიხალ დურიში (ომონია, კვიპროსი), ივან შრანცი (იაბლონეცი, ჩეხეთი).

### ესპანეთი

***მეკარეები:*** უნაი სიმონი (ბილბაო), დავიდ დე ხეა (მანჩესტერი, ინგლისი), რობერტო სანჩესი (ბრაიტონი, ინგლისი)

***მცველები:*** ხოსე გაია (ვალენსია), ხორდი ალბა (ბარსელონა), პაუ ტორესი (ვილიარეალი), ემერიკ ლაპორტი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ერიკ გარსია (ბარსელონა), დიეგო ლორენტე (ლიდსი, ინგლისი), სესარ ასპილიკუეტა (ჩელსი, ინგლისი), მარკოს ლორენტე (ატლეტიკო)

***ნახევარმცველები:*** სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა), როდრი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), პედრი (ბარსელონა), ტიაგო ალკანტარა (ლივერპული, ინგლისი), კოკე (ატლეტიკო), ფაბიან რუისი (ნაპოლი, იტალია)

***თავდამსხმელები:*** დანი ოლმო (ლაიფციგი, გერმანია), მიკელ ოიარსაბალი (სოსიედადი), ალვარო მორატა (იუვენტუსი, იტალია), ხერარდ მორენო (ვილიარეალი), ფერან ტორესი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ადამა ტრაორე (ვულვზი, ინგლისი), პაბლო სარაბია (პსჟ, საფრანგეთი).

### შვედეთი

***მეკარეები:*** კარლ-იოჰან იონსონი (კოპენჰაგენი), კრისტოფერ ნორდფელდტი (გენჩლერი, თიურქეთი), რობინ ოლსენი (ევერტონი, ინგლისი)

***მცველები:*** ლუდვიგ აუსუსტინსონი (ვერდერი, გერმანია), მარკუს დანიელსონი (დალიან იფანი, ჩინეთი), ანდრეას გრანკვისტი (ჰელსინბორგი), ფილიპ ჰელანდერი (რეინჯერსი, შოტლანდია), პონტუს იანსონი (ბრენტფორდი, ინგლისი), ემილ კრაფტი (ნიუკასლი, ინგლისი), მიქაელ ლუსტიგი (აიკ), ვიქტორ ლინდელოფი (მანჩესტერი, ინგლისი), მარტინ ულსონი (ჰელსინბორგი)

***ნახევარმცველები:*** ეინს-ლუის კაიუსტე (მიდტიულანდი), ვიქტორ კლაესონი (კრასნოდარი, რუსეთი), ალბინ ეკდალი (სამპდორია, იტალია), ემილ ფორსბერგი (ლაიფციგი, გერმანია), დეიან კულუშევსკი (იუვენტუსი, იტალია), სებასტიან ლარსონი (აიკ), კრისტოფერ ოლსონი (კრასნოდარი, რუსეთი), რობინ კუაისონი (მაინცი, გერმანია), კენ სემა (უოტფორდი, ინგლისი), მატიას სვანბერგი (ბოლონია, იტალია), გუსტავ სვენსონი (სიეტლ საუნდერსი, აშშ)

***თავდამსხმელები:*** მარკუს ბერგი (კრასნოდარი, რუსეთი), ალექსანდერ ისაკი (სოსიედადი, ესპანეთი), ჯორდან ლარსონი (სპარტაკი, რუსეთი)

## F ჯგუფი

### საფრანგეთი

***მეკარეები:*** უგო ლორისი (ტოტენჰემი, ინგლისი), მაიკ მენიანი (ლილი), სტივ მანდანდა (მარსელი)

***მცველები:*** ლუკა დინი (ევერტონი, ინგლისი), ლეო დიუბუა (ლიონი), ლუკას ერნანდესი, ბენჟამენ პავარი (ორივე ბაიერნი, გერმანია), პრესნელ კიმპემბე (პსჟ), ჟიულ კუნდე (სევილია, ესპანეთი), კლემან ლენგლე (ბარსელონა, ესპანეთი), რაფაელ ვარანი (რეალი, ესპანეთი), კურტ ზუმა (ჩელსი, ინგლისი)

***ნახევარმცველები:*** ნგოლო კანტე (ჩელსი, ინგლისი), ტომა ლემარი (ატლეტიკო, ესპანეთი), პოლ პოგბა (მანჩესტერი, ინგლისი), ადრიენ რაბიო (იუვენტუსი, იტალია), მუსა სისოკო (ტოტენჰემი, ინგლისი), კორენტენ ტოლისო (ბაიერნი, გერმანია)

***თავდამსხმელები:*** ვისამ ბენ იედერი (მონაკო), ოლივიე ჟირუ (ჩელსი, ინგლისი), ქარიმ ბენზემა (რეალი, ესპანეთი), კინგსლი კომანი (ბაიერნი, გერმანია), უსმან დემბელე, ანტუან გრიზმანი (ორივე ბარსელონა, ესპანეთი), კილიან მბაპე (პსჟ), მარკუს ტიურამი (გლადბახი, გერმანია).

### გერმანია

***მეკარეები:*** ბერნდ ლენო (არსენალი, ინგლისი), მანუელ ნოიერი (ბაიერნი), კევინ ტრაპი (აინტრახტი)

***მცველები:*** მატიას გინტერი (გლადბახი), რობინ გოსენსი (ატალანტა, იტალია), კრისტიან გიუნტერი (ფრაიბურგი) მარსელ ჰალსტენბერგი (ლაიფციგი), მატს ჰუმელსი (დორტმუნდი), ლუკას კლოსტერმანი (ლაიფციგი), რობინ კოხი (ლიდსი, ინგლისი), ანტონიო რუდიგერი (ჩელსი, ინგლისი), ნიკლას ზულე (ბაიერნი)

***ნახევარმცველები:*** ემრე ჯანი (დორტმუნდი), სერჟ გნაბრი, ლეონ გორეტცკა (ორივე ბაიერნი), ილქაი გიუნდოგანი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), იონას ჰოფმანი (გლადბახი), ჯოშუა კიმიხი (ბაიერნი), ტონი კროოსი (რეალი, ესპანეთი), ტომას მიულერი (ბაიერნი), ჯამალ მუსიალა (ბაიერნი), ფლორიან ნოიჰაუსი (გლადბახი)

***თავდამსხმელები:*** კაი ჰავერცი (ჩელსი, ინგლისი), ლეროი სანე (ბაიერნი), კევინ ვოლანდი (მონაკო, საფრანგეთი), ტიმო ვერნერი (ჩელსი, ინგლისი).

### უნგრეთი

***მეკარეები:*** პეტერ გულაჩი (ლაიპციგი, გერმანია), დენეშ დიბუსი, ადამ ბოგდანი (ორივე ფერენცვაროში)

***მცველები:*** ადამ ლანგი (ომონია, კვიპროსი), აკოშ კეჩკეში (ლუგანო, შვეიცარია), ატილა შალაი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ატილა ფიოლა (ფეერვარი), ვილი ორბანი (ლაიპციგი, გერმანია), გერგო ლოვრენჩიჩი, ენდრე ბოტკა (ორივე ფერენცვაროში), ბენდეგუზ ბოლა (ფეერვარი)

***ნახევარმცველები:*** ლოიკ ნეგო (ფეჰერვარი), ადამ ნადი (ბრისტოლი, ინგლისი), ტამაშ ჩერი (მეზოკოვეშდი), ანდრაშ შეფერი (დუნაისკა სტრედა, სლოვაკეთი), ლასლო კლაინჰაისლერი (ოსიეკი, ხორვატია), დანიელ გაზდაგი (ჰონვედი), როლანდ ვარგა (მტკ), დავიდ შიგერი (ფერენცვაროში), კევინ ვარგა (ქასიმფაშა, თურქეთი)

***თავდამსხმელები:*** ადამ სალაი (მაინცი, გერმანია), ფილიპ ჰოლანდერი (პარტიზანი, სერბეთი), როლანდ შალაი (ფრაიბურგი, გერმანია), ნემანია ნიკოლიჩი (ფეჰერვარი), შაბოლც შიონი (დალასი, MLS), იანოშ ჰანი (პაკში)

### პორტუგალია

***მეკარეები:*** ანტონი ლოპეში (ლიონი, საფრანგეთი), რუი პატრისიუ (ვულვზი, ინგლისი), რუი სილვა (გრანადა, ესპანეთი)

***მცველები:*** ჟოაო კანსელუ (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ნელსონ სემედუ (ვულვზი, ინგლისი), ჟოზე ფონტე (ლილი, საფრანგეთი), პეპე (პორტუ), რუბენ დიაში (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ნუნუ მენდეში (სპორტინგი), რაფაელ გერეირო (დორტმუნდი, გერმანია)

***ნახევარმცველები:*** დანილო პერეირა (პსჟ, საფრანგეთი), ჟოაო პალინია (სპორტინგი), რუბენ ნევეში (ვულვზი, ინგლისი), ბრუნო ფერნანდეში (მანჩესტერი, ინგლისი), ჟოაო მოუტინიო (ვულვზი, ინგლისი), რენატო სანჩესი (ლილი, საფრანგეთი), სერჟიო ოლივეირა (პორტუ), უილიამ კარვალიო (ბეტისი, ესპანეთი)

***თავდამსხმელები:*** პედრო გონსალვეში (სპორტინგი), ანდრე სილვა (აინტრახტი, გერმანია), ბერნარდო სილვა (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), კრიშტიანო რონალდუ (იუვენტუსი, იტალია), დიოგო ჟოტა (ლივერპული, ინგლისი), გონსალო გუედეში (ვალენსია, ესპანეთი), ჟოაო ფელიში (ატლეტიკო, ესპანეთი), რაფა სილვა (ბენფიკა).

# კოპა ამერიკა-2021. 14 ივნისი-11 ივლისი

## ჯგუფური ეტაპის კალენდარი

## A ჯგუფი: არგენტინა, პარაგვაი, ბოლივია, ურუგვაი, ჩილე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.06 | არგენტინა-ჩილე | 01:00 | 22.06 | არგენტინა-პარაგვაი | 04:00 |
| 15.06 | პარაგვაი-ბოლივია | 04:00 | 25.06 | ბოლივია-ურუგვაი | 01:00 |
| 19.06 | ჩილე-ბოლივია | 01:00 | 25.06 | ჩილე-პარაგვაი | 04:00 |
| 19.06 | არგენტინა-ურუგვაი | 04:00 | 29.06 | ბოლივია-არგენტინა | 04:00 |
| 22.06 | ურუგვაი-ჩილე | 01:00 | 29.06 | ურუგვაი-პარაგვაი | 04:00 |

| | | | | | | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | | | | | | | | |
| პარაგვაი | | | | | | | | |
| ბოლივია | | | | | | | | |
| ურუგვაი | | | | | | | | |
| ჩილე | | | | | | | | |

## B ჯგუფი: ეკვადორი, პერუ, ვენესუელა, კოლუმბია, ბრაზილია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.06 | ბრაზილია-ვენესუელა | 01:00 | 21.06 | კოლუმბია-პერუ | 04:00 |
| 14.06 | კოლუმბია-ეკვადორი | 04:00 | 24.06 | ეკვადორი-პერუ | 01:00 |
| 18.06 | კოლუმბია-ვენესუელა | 01:00 | 24.06 | ბრაზილია-კოლუმბია | 04:00 |
| 18.06 | ბრაზილია-პერუ | 04:00 | 28.06 | ბრაზილია-ეკვადორი | 01:00 |
| 21.06 | ვენესუელა-ეკვადორი | 01:00 | 28.06 | ვენესუელა-პერუ | 01:00 |

| | | | | | | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკვადორი | | | | | | | | |
| პერუ | | | | | | | | |
| ვენესუელა | | | | | | | | |
| კოლუმბია | | | | | | | | |
| ბრაზილია | | | | | | | | |

# ხავი: ვფიქრობ, მესი ბარსელონაში დარჩება

## ინტერ მაიამის თანამფლობელი: იმედი მაქვს, მესი ჩვენი კლუბის მაისურით ითამაშებს

კატალონიური „ბარსელონას" ლეგენდამ, ამჟამად ყატარული „ალ სადის" მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა „ბლაუგრანაში" ლიონელ მესის მომავალთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოთქვა:

– ვფიქრობ, მესი კარიერას „ბარსელონაში" გააგრძელებს, მაგრამ საბოლოო სიტყვა მასზეა. მან არჩევანი დაიმსახურა. მესი „ბარსას" ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელია და იმედი მაქვს, ის არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას, – განაცხადა ხავიმ.

როგორც ესპანური „მარკა" წერს, ლეოს „ბარსელონასგან" ახალ კონტრაქტზე ოფიციალური წინადადება ჯერაც არ მიუღია. არადა, ბოლო პერიოდში მუდმივად წერდნენ, რომ კლუბმა არგენტინელს უკვე მიმართა წინადადებით.

„ინტერ მაიამის" თანამფლობელმა ხორხე მასმა კი, იმედი გამოთქვა, რომ მესი კარიერას სწორედ მათ კლუბში გააგრძელებს.

– ჩვენ დევიდ ბექჰემთან ერთად კლუბში საუკეთესო ფეხბურთელების მოწვევაზე ბევრს ვმუშაობთ. ლეო მესი კი, ეპოქალური მოთამაშეა. შესაძლოა, ის ყველა დროის საუკეთესოა. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და იმედი მაქვს, მესი „ინტერ მაიამის" მაისურით ითამაშებს, – განაცხადა ხორხე მასმა.



# ნიკო შერაზადიშვილმა ოქრო ესპანეთში წაიღო

## ბექა ღვინიაშვილი აკრძალული ილეთის გამო ტურნირიდან მოხსნეს

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ზედიზედ 2 წარმატებული დღის შემდეგ, ქართულ დელეგაციას უიღბლო მონაკვეთი ჰქონდა. გუშინ, ტატამიზე 2 ქართველი ძიუდოისტი გავიდა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე **ბექა ღვინიაშვილი** ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთო და შვეიცარიელ სირილ გროსკლაუსს შეხვდა. ბექა უპირატესობას ფლობდა, ვაზარით უგებდა მეტოქეს. შემდეგ, შვეიცარიელს ილეთი გაუკეთა და დააგდო, რისთვისაც სუფთა გამარჯვება უნდა ჩაეთვალათ მისთვის, მაგრამ მსაჯებმა გდების ვიდეოგამეორება ნახეს და გამოჩნდა, რომ ღვინიაშვილმა აკრძალული ილეთი გამოიყენა - მან მეტოქეს ფეხი ჩაუხვია, რაც ძიუდოს წესებიდან ამოღებულია. ამიტომაც, გროსკლაუსს გამარჯვება ჩაუთვალეს, ქართველი ძიუდოისტი კი, ტურნირიდან მოხსნეს. ოქროს მედალი ესპანეთის სახელით მოჭიდავე **ნიკოლოზ შერაზადიშვილმა** მოიპოვა, რომელმაც ფინალში უზბეკ დავლატ ბობონოვს სძლია. ეს ნიკოსთვის მსოფლიოს ჩემპიონის მეორე ტიტულია, პირველი მან ბაქოში 2018 წელს მოიგო.

გუშინვე, ქალთა შორის 70კგ-ში **მარიამ ჭანტურიამ** გაბონელი კარენ აგონო ვორა დაამარცხა, მაგრამ მეორე წრეში გერმანელ მირიამ ბუტკერაიტთან წააგო და უმედლოდ დარჩა.

დღეს, ტატამიზე 100კგ. წონით კატეგორიაში 2 ქართველი გავა. **ვარლამ ლიპარტელიანი** ტურნირს მეორე წრიდან დაიწყებს და ავსტრიელ აარონ ფარასა და ნიდერლანდელ სიმეონ კვათარინას შორის მოგებულს შეხვდება. **ილია სულამანიძის** მეტოქე კი, პირველ წრეში თურქი მერთ სისმანლარი იქნება.

| კაცები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| -90 კგ | | -70 კგ | |
| 1. ნიკოლოზ შერაზადიშვილი | (ესპ.) | 1. ბარბარა მატიჩი | (ხორ.) |
| 2. დავლატ ბობონოვი | (უზბ.) | 2. იოკო ონო | (იაპ.) |
| 3. მარკუს ნიმანი | (შვედ.) | 3. მიკაელა პოლერესი | (ავსტ.) |
| 3. ტოთ კრისტაინი | (უნგ.) | 3. სანე ვან დიკი | (ნიდერ.) |

# რუდი გობერი დაცვაში NBA-ს სეზონის საუკეთესოდ აღიარეს

„იუტა ჯაზის" ცენტრი რუდი გობერი NBA-ს 2020-2021 წლების სეზონში საუკეთესო დაცვას თამაშობდა და „მისტერ ბოქლომის" ტიტულის მფლობელი გახდა. ამის შესახებ ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება.

გობერი დაცვაში საუკეთესოდ ჟურნალისტების გამოკითხვით აღიარეს. ფრანგმა 100 პირველი ადგილიდან 84 მიიღო და ჯამში 464 ქულა დააგროვა. მან „ფილადელფია სიქსერსის" გამთამაშებელ ბენ სიმონსს (287) და „გოლდენ სტეიტ უორიორზის" მძიმე ფორვარდ დრეიმონდ გრინს (76) გადაასწრო.

დაცვაში სეზონის საუკეთესოდ გობერი მესამედ აღიარეს. მან ეს ტიტული 2018 და 2019 წლებშიც მოიგო. ამრიგად, ფრანგი დუაიტ ჰოვარდს (3) გაუტოლდა და მხოლოდ დიკემბე მატუმბოს (4) და ბენ უოლესს (4) ჩამორჩება.




ISSN 1512-1380

გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ №5988
მის: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru